ქ. თბილისი 24 მაისი 2018 წელი

ხელშეკრულება N01-24/05/2018

საქონლის შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

№ SG24052018/1

ერთის მხრივ, **შპს შპს რუხის სავაჭრო ცენტრი (ს/კ:404484704)** წარმოდგენილი მისი დირექტორის მაჭავარიანის მიერ (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „**დამკვეთი**“) და მეორეს მხრივ **შპს ორიენტ ლოჯიკი (ს/კ:202052054)** წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის ალან სანაკოევის მიერ (შემდგომში მოხსენიებული „**შემსრულებლად**“),“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ს¹” ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 **შემსრულებელი** იღებს ვალდებულებას მოახდინოს **დამკვეთის** მიერ განსაზღვრული პროექტორის (CPV38652100) და სპეციფიკაციაში (დანართი №1) ასახული მოცულობის, შემდგომში „**ხელშეკრულების საგანი**“ ან/და „**პროდუქტი**“ ან/და „**საქონელი**“- კონტექსტის შესაბამისად, მიწოდების უზრუნველყოფა, მე-3 მუხლში განსაზღვრული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2 პუნქტ 1.1 - ში მითითებული მიზნების მიღწევაში მხარეთა მონაწილეობის ფორმები:

1.2.1 **შემსრულებელი** უზრუნველყოფს:

- ხელშეკრულების საგნის (დანართი №1) მიწოდებას მხარეთა მიერ შეთანხმებულ მისამართზე ქ. თბილისის ტერიტორიაზე.
- საგარანტიო მომსახურებას.

1.2.2 **დამკვეთი** უზრუნველყოფს:

- წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელშეკრულების საგნის შეძენას და მათ შეძენასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას.
- **შემსრულებლის** მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად შესაბამისი გარემოს შექმნას.

2. ხელშეკრულების საგნის მიწოდების პირობები

2.1 ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო **ხელშეკრულების საგანი**, ერთიანად ან ეტაპობრივად, სპეციფიკაციის მიხედვით (დანართი №1) **დამკვეთს** მიეწოდება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს ამავე დანართით განსაზღვრულ მაქსიმალურ ვადებში, წინამდებარე ხელშეკრულების 1.2.2 პუნქტის გათვალისწინებით.

3. ფინანსები და ხარჯთაღრიცხვა

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების ფასი არის მოსაწოდებელი **ხელშეკრულების საგნის** ღირებულება, რომელიც განსაზღვრულია 4,964.00 (ოთხი ათას ცხრაას სამოცდაოთხი მთელი) ლარით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დღგ-ის გადასახადის ჩათვლით.

3.1.1 **დამკვეთი** იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ხელშეკრულების საგნის ღირებულების სრულად 100% (ასი პროცენტი) ანაზღაურება საქონელის მიწოდებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

3.2 მხარეები თანხმდებიან რომ წინამდებარე ფასი არის დაფიქსირებული 1(ერთი) აშშ დოლარის ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ექვივალენტი პირობებში და რომ აღნიშნული კურსის ცვლილება 3%(სამი პროცენტი)-მდე ოდენობით, საბოლოო ანგარიშსწორების დღისათვის პერიოდში, წარმოადგენს საფუძველს რომ ხელშეკრულების ფასი გადაიხედოს და განხორციელდეს პროპორციულად მისი ცვლილება. 3.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას უტოლდება, კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადები (საჭიროების შემთხვევაში).

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 ხელშეკრულებით ნაკისრი მიწოდების ვად(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში **შემსრულებელი** უხდის **დამკვეთს** პირგასამტეხლოს მისაწოდებელი ხელშეკრულების საგნის (დაგვიანებით მიწოდებული) ღირებულების 0.1% -ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, თუ ეს გამოწვეული არაა **დამკვეთის** მიზეზით.

4.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ანგარიშსწორების ვალდებულების შესრულების ვად(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში **დამკვეთი** უხდის **შემსრულებელს** პირგასამტეხლოს ჩასარიცხი (დარჩენილი ასანაზღაურებელი) თანხის 0.1 %- ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, თუ ეს გამოწვეული არაა **შემსრულებლის** მიზეზით.

4.2.1. **დამკვეთი** ვალდებულია გადაუხადოს **შემსრულებელს** ხელშეკრულების საგნის სრული ღირებულების 20% (ოცი პროცენტი) ოდენობით; ავანსად გადახდილი თანხიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) **შემსრულებელმა** გაქვითოს აღნიშნული თანხა და ჩაითვალოს გაწეული ხარჯების ანაზღაურების მიზნით, თუ **დამკვეთი** შეწყვეტს **შემსრულებელთან** ხელშეკრულებას, სრულად არ შეიძენს ხელშეკრულების ღანართ(ებ)ით გათვალისწინებულ პროდუქტ(ებ)ს, მიზეზით რომელიც არაა **შემსრულებლის** ბრალეულობით გამოწვეული;

4.2.2. თანხის უმიზეზოდ 10 (ათი) დღეზე მეტი ხნით დაგვიანების შემთხვევაში, **დამკვეთი** წინასწარ აძლევს **შემსრულებელს** უფლებას, მიმართოს სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროს“ გამარტივებულ წარმოებით დავალიანების გადახდევინების შესახებ და მოითხოვს დავალიანების, მასზე დარიცხული საურავებისა და „გამარტივებული საქმის წარმოების“ ხარჯების დაფარვას, ხოლო **დამკვეთი** ვალდებულია აანაზღაუროს მოთხოვნილი თანხა სრულად. წინამდებარე პირობის მიუხედავად **შემსრულებელი** უფლებამოსილია იმოქმედოს მისი შეხედულებით და ნაცვლად ამისა გამოიყენოს კანონმდებლობით და წინამდებარე ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლება და დავის მოგვარების და/ან თანხის ამოღების მიზნით აამოქმედოს ნებისმიერი კანონიერი ძალა და/ან სამართლებრივი საშუალება.

4.3 თუ რომელიმე მხარემ დაარღვია ხელშეკრულების საგნის მოწოდების ან ანგარიშსწორების ვადები და დააგვიანა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ, ან მხარეთა მიერ დამატებით წერილობით შეთანხმებულ ვადებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხელშეკრულება გადაიხედება მხარეთა მიერ. ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, თუკი **დამკვეთის** მიერ მიღებული ხელშეკრულების საგნის ღირებულება აღემატება ამ ხელშეკრულებით უკვე გადახდილ თანხას, **დამკვეთი** ვალდებულია გადაუხადოს **შემსრულებელს** **დამკვეთის** მიერ მიღებული ხელშეკრულების საგნის სახელშეკრულებო ღირებულებასა და გადახდილი თანხას შორის სხვაობა; თუ **დამკვეთის** მიერ მიღებული ხელშეკრულების საგნის ღირებულება ნაკლებია ამ ხელშეკრულებით უკვე მიღებულ თანხაზე **შემსრულებელი** ვალდებულია დაუბრუნოს **დამკვეთს** **დამკვეთის** მიერ მიღებული ხელშეკრულების საგნის სახელშეკრულებო ღირებულებისა და გადახდილი თანხის შორის სხვაობა. ხოლო ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაუხადოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული (პუნქტი 4.1; პუნქტი 4.2;) პირგასამტეხლო 4.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4.4 ჯარიმის/პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება წარმოიშობა თუკი არსებობს დაზარალებული მხარის მიერ ხელშეკრულების დამრღვევი მხარისადმი წერილობითი მოთხოვნა წინამდებარე ხელშეკრულების პუნქტი 4.1; პუნქტი 4.2; პუნქტი 4.2.1; პუნქტი 4.3; ქვეპუნქტებში მითითებული ვალდებულების შესრულების თაობაზე. დაჯარიმების/პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება არის მხარის უფლება და არა ვალდებულება. მოთხოვნათა გაქვითვა დაუშვებელია გარდა 4.2.1 პუნქტის შემთხვევებისა.

4.5 ჯარიმის/პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისაგან. წინამდებარე ხელშეკრულებს ფარგლებში ურთიერთ გაქვითვის მექანიზმი არ გამოიყენება, ხელშეკრულებით უკვე განსაზღვრული პირობების გარდა.

4.6 ხელშეკრულების საგნის ექსპლუატაციისა და მოხმარების პირობების დარღვევის შედეგად გამოწვეულ ზიანზე პასუხისმგებელია **დამკვეთი.**

4.7 **შემსრულებელი** პასუხს არ აგებს მიწოდებული საქონლის არათავსებადობაზე **დამკვეთის** საკუთრებაში უკვე არსებულ დანადგარებთან, კომპიუტერულ ტექნიკასა და სისტემებთან (გარდა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისას **შემსრულებელთან** უკვე შეთანხმებული დანადგარებისა, ტექნიკისა და სისტემებისა) ან თუ ეს გამოწვეულია არაა ქარხნული წუნიდან/ხარვეზიდან გამომდინარე.

5. საგარანტიო პირობები

5.1 ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნასყიდობის საგანზე ვრცელდება მწარმოებლის მიერ განსაზღვრული სტანდარტული გარანტია. გარანტიის მოქმედების ვადის ათვლა დაიწყება ნასყიდობის საგნის მიწოდების მომენტიდან.

5.2 ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში საგარანტიო პერიოდში პროდუქტის მწყობრიდან გამოსვლისას **დამკვეთი** წერილობითი ფორმით (მ.შ ელექტრონულ მისამართზე: support@ol.ge) აცნობებს ხარვეზის აღმოფხვრის საჭიროების შესახებ **"შემსრულებელს"**. წერილის მიღებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა **"შემსრულებელი** ახდენს რეაგირებას." მომსახურების საგნის სერვისულ ცენტრში მიღებიდან (ორი) ორიდან - ხუთ სამუშაო დღის ვადაში **"შემსრულებელი"** ადგენს დეფექტურ აქტს, რომელიც შეიცავს შესასრულებელ სამუშაოებს და მათ ხანგრძლივობას. ხარვეზის აღმოფხვრა ხორციელდება საშუალოდ 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღის ვადაში დიაგნოსტიკის დასრულებიდან.

5.3 სახარჯ მასალებსა, აქსესუარებსა, ნებისმიერი სახის პროგრამულ უზრუნველყოფაზე (მათ შორის ლიცენზიები და არა მარტო) სამუშაოზე და მომსახურებაზე გარანტია არ ვრცელდება.

5.4 ასევე, საგარანტიო მომსახურება არ შესრულდება თუ აპარატურას აქვს მექანიკური დაზიანება, ან შეცვლილია სერიული ნომერი, ან არ იკითხება მკაფიოდ, ან საერთოდ განადგურებულია.

6. ფორს - მაჟორი

6.1 არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მიღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო თუ ეს იყო განპირობებული ისეთი გარემოებების გამო, როგორიც არის ხანძარი, მიწისძვრა, წყალდიდობა და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმები, აგრეთვე ომი, კანონმდებლობის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ან ისეთი პირობები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა

კონტროლს . თუ რომელიმე გარემოება უშუალოდ იმოქმედებს ხელშეკრულების შესრულების ვადაზე, ეს ვადა უნდა იყოს გაგრძელებული გადაულახავი ძალის გარემოების მოქმედების დროის მიხედვით.

6.2 მხარე, რომლისთვისაც შეუძლებელი გახდა მიღებული ვალდებულებების შესრულება ამა თუ იმ გარემოების გამო ვალდებულია წერილობითი ფორმით შეატყობინოს მეორე მხარეს ამ გარემოების დაწყების, სავარაუდო ხანგრძლივობის და დამთავრების დრო არაუგვიანეს ათი დღისა ამ გარემოებების დაწყებისა და დამთავრების შემდეგ. ამ გარემოებების შესახებ შეუტყობინებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკარგებათ უფლება მათზე მითითებისა ხელშეკრულებაში აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობისას.

6.3 თუ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, როგორც გადაულახავი ძალის გარემოების შედეგი, გრძელდება ერთ თვეზე მეტი მხარეებს აქვთ ხელშეკრულების ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტის უფლება. ამ შემთხვევაში მხარე რომელიც წყვეტს ხელშეკრულებას ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გაწეული ხარჯები.

6.4 მხარე, რომლისთვისაც დადგა ფორსმაჟორული გარემოება ვალდებულია ოფიციალურად წარმოადგინოს დასტური აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოდან.

7. კონფიდენციალურობა

7.1 მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის პროცესში მიწოდებული ყველა ინფორმაცია, დოკუმენტაცია და სხვა ცნობები, რომლებიც წარმოადგენენ კომერციულ ფასეულობას, მიუხედავად იმისა წერილობითი ფორმის იქნება ეს თუ ზეპირი ითვლება კონფიდენციალურ ინფორმაციად და არ დაუშვებენ მესამე პირებზე მათ გადაცემას/გაცნობას.

7.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირ(ებ)ს გადაეცემა(თ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წერილობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამასთან აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება: 1) იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად; 2) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაზეც მხარეები წერილობით შეთანხმდებიან; 3) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე მხარის მიერ კანონმდებლობისა და/ან შესაბამისი რეგულაციების (მათ შორის, იმ საფონდო ბირჟის მოთხოვნების მიხედვით და დაცვით, სადაც ივაჭრება მხარის ან/და მისი ბენეფიციარი მფლობელის აქციები ან/და იმ აუდიტორული კომპანიის მოთხოვნით, რომელიც უწევს მხარეს აუდიტორულ მომსახურებას) მოთხოვნათა შესაბამისად და/ან ასევე, ხელშეკრულების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ტენდერებისათვის, ფასთა გამოკითხვებსა და სხვა სახის კონკურს(ებ)ში მონაწილეობის მიზნით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებ(ებ)ის შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობითი ფორმით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება, დამატება უნდა შესრულდეს წერილობითი ფორმით, დადასტურდეს ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით, გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელისმოწერის დღიდან, წინამდებარე დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე 2018 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

9.2 იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარე უხეშად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება მხარისადმი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით; ასეთი გარემოების დადგომისას ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ბრალეული მხარისადმი წერილობითი შეტყობინების გადაცემის მომენტიდან ათი კალენდარული დღის შემდეგ.

9.3 **დამკვეთს** შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, **შემსრულებლისათვის** ვალდებულებების წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ **შემსრულებელს**, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ, ან **დამკვეთის** მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი პროდუქტი ან მისი ნაწილი.

9.4 **შემსრულებელს** შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება **დამკვეთისადმი** წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ:

ა) თუ **დამკვეთს**, ხელშეკრულებით გათვალისწინებული, ან **შემსრულებლის** მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული ანგარიშსწორება.

ბ) თუ **დამკვეთს** არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულების შესრულება.

9.5 ხელშეკრულების მოქმედების, ნებისმიერი მიზეზით, შეწყვეტის, მოშლის, გაუქმების, შეჩერების შემთხვევაში, მხარეები ადგენენ შედარების აქტს და ახდენენ ანგარიშსწორებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების შესაბამისად, ფაქტიურად მიწოდებული ხელშეკრულების საგნის და გაწეული მომსახურების მიხედვით.

10. დავათა გადაწყვეტა

10.1 მხარეები იღებენ ყველა ზომას რათა წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი ყველა უთანხმოება გადაწყდეს მოლაპარაკებ(ებ)ის გზით.

10.2 მხარის მოთხოვნის შემთხვევაში წინამდებარე და მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა, მათ შორის დაკავშირებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობასთან, მოშლასთან, შეწყვეტასთან და ბათილობასთან, განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის" მიერ (ს/კ 205273005). საარბიტრაჟო განხილვა უნდა დამთავრდეს და არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს პირველი საარბიტრაჟო სხდომის ჩატარებიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში. შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის" მიერ დავის განხილვის შეუძლებლობის (არბიტრაჟის ლიკვიდაციის და სხვა) შემთხვევაში, დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

10.3 დავის არსებობა არ წარმოადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს. მხარეები ვალდებულნი არიან გააგრძელონ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გარდა სადავო საკითხისა.

11. დასკვნითი დებულებანი

11.1 ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და განხოლული იქნება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

11.2 მხარეებს არა აქვთ უფლება წინამდებარე ხელშეკრულების უფლება-მოვალეობანი გადასცენ მესამე პირს, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომლიდანაც ერთი ინახება **დამკვეთ**თან, ხოლო მეორე **შემსრულებელ**თან.

11.4 ეს ხელშეკრულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეების, სამართალმემკვიდრეების, წარმომადგენლების რწმუნებულებისა და თანამშრომლებისთვის.

11.5 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი სახის ფულადი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულია ფულადი ვალდებულების შესრულებისათვის კონკრეტული ვადა, უნდა შესრულდეს ფულადი ვალდებულების წარმოშობის თარიღიდან (ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დღიდან და სხვა) 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. ამასთან, თუ ვალდებულების შესრულების (გადახდის) დღე დაემთხვა არასამუშაო ან უქმე დღეს, ვალდებულება უნდა შესრულდეს პირველივე სამუშაო დღეს.

11.6 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი, ხელშეკრულების ფარგლებში წარმოებული ელექტრონული მიმოწერა და შეთანხმებული ინვოისი წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

11.7 წინამდებარე ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება მიეწოდება წერილობითი ფორმით, ან დაზღვეული ფოსტით მხარეთა ადგილსამყოფელის მიხედვით თუ ამავე ხელშეკრულებით სხვაგვარად არ არის დარეგულირებული.

11.8 ხელშეკრულების რომელიმე მუხლების, პუნქტების ან/და ქვეპუნქტების ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების სხვა მუხლების, პუნქტების ან/და ქვეპუნქტების ბათილობას ამასთან ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზანი.

11.9 ხელშეკრულების მუხლები, პუნქტები ან/და ქვეპუნქტები დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების განმარტებისთვის / ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

11.10 შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით.

12. მხარეთა რეკვიზიტები

12.1 **დამკვეთი: შპს რუხის სავაჭრო ცენტრი (ს/კ:404484704)**; მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ვუკოლ ბერიძის N6 , ტელ:- --- ---; საბანკო რეკვიზიტები:----------;----------.

12.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) **დამკვეთის** შემდეგი რეკვიზიტები: საკონტ. პირი ბ-ნი: -----გიორგი შუბლაძე--, მობილური ტელეფონის ნომერი: --577554949----------; ელექტრონული ფოსტა: ----gshubladze@partnershipfund.ge---;

12.2 **შემსრულებელი: შპს ორიენტ ლოჯიკი**; საიდენტიფიკაციო კოდი: **202052054**; იურიდიული მისამართი: აღმაშენებლის გამზ. 91ა, 0102 თბილისი საქართველო; ფიზიკური მისამართი: გოძიაშვილი ქ. 81, 0159 თბილისი საქართველო; ტელეფონი: +995 32 2541818; ელ.ფოსტა:info@ol.ge; ბანკი: სს ბაზის ბანკი CBASGE22; ა/ა: GE96 BS00 0000 0005 9368 72.

შპს რუხის სავაჭრო ცენტრი
დირექტორი
_____
დავითი მაჭავარიანი

შპს „ორიენტ ლოჯიკი"
დირექტორის მინდობილი პირი
_____
ალან სანაკოევი

ხელშეკრულება N01-24/05/2018

(№ SG24052018/1)

დანართი №1

N	Product / Service	Specification	Unit Price GEL	Q-ty	Price GEL	Delivery
1	პროექტორი V11H871040	Epson EB-2250U / 3LCD / 5000 LM / WUXGA (1920x1200)	**4,964.00**	1	**4,964.00**	14 სამუშაო დღე

სულ ასანაზღაურებელი თანხა **დღგ-ის** ჩათვლით: **4,964.00** (ოთხი ათას ცხრაას სამოცდაოთხი მთელი) ლარი.

შპს რუხის სავაჭრო ცენტრი
დირექტორი
_____
დავითი მაჭავარიანი

შპს „ორიენტ ლოჯიკი"
დირექტორის მინდობილი პირი
_____
ალან სანაკოევი